შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი
პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესები დაცვის მექანიზმები

მარნეული
2022

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი (შემდგომში - კოლეჯი) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას მთელი რიგი შიდა მექანიზმების გამოყენებით. სტუდენტების უფლებები განსაზღვრულია „პროფესიულიგანათლებისშესახებ“ საქართველოს კანონით, კოლეჯის დებულებით, სასწავლო პროცესის მართვის დებულებით, კოლეჯის დირექტორის სოციალურად მოწყვლადი პროფესიული სტუდენტების კატეგორიის განსაზღვრის შესახებ ბრძანებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთ ასაგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით, შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით.

პროფესიული სტუდენტი კოლეჯთან ხელშეკრულების გაფორმებისას ეცნობა თავის უფლებებს. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლები სტუდენტებს აწვდიან შესაბამის ინფორმაციას. სტუდენტები იღებენ განმარტებებს ხელშეკრულების თაობაზე, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტისა და კოლეჯის უფლება-მოვალეობები.

სტუდენტებს უფლება აქვთ ჩამოაყალიბონ სტუდენტური გაერთიანება და სტუდენტთა უფლებების დაცვის მიზნით შეიმუშაონ და წარუდგინონ კოლეჯის დირექტორს კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები კოლეჯში მმართველობის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

სტუდენტს უფლება აქვს: მიიღოს ხარისხიანი განათლება, კოლეჯის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვასაშუალებებით; თავისუფლად დააფუძნოს ან/დაგაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად; თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას; მიიღოს ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები; აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა; მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში; პერიოდულად მოახდინოს კოლეჯში მიმდინარე პროცესების შეფასება; განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილება.

კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვას, სტუდენტის განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის კონსტიტუციური უფლების, ასევე სხვა ამ უფლებასთან დაკავშირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. კოლეჯის მიზანია სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის ფაქტების გამოვლენა, ამგვარ ფაქტებზე რეაგირებად შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის სარეკომენდაციო წინადადებების წარდგენა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და სრულფასოვნად განხორციელების უზრუნველსაყოფად, სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის ფაქტებთან დაკავშირებით წარმოქმნილ კონფლიქტურ ურთიერთობებში მხარეებს ურთიერთობების მოწესრიგება. ნებისმიერ სტუდენტს აქვს უფლება დაუკავშირდეს დირექტორს პრობლემების მოსაგვარებლად პირადად ან ელექტრონული ფორმით.

სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის,„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ეთიკის კოდექსით“, სამართლიანიპროცედურისგზით. სტუდენტისმიმართდისციპლინურიწარმოებისდაწყებაარუნდაზღუდავდესსტუდენტისუფლებას, მონაწილეობამიიღოსსასწავლოპროცესში, გარდა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების , ჯანმრთელობის, კოლეჯის საკუთრების და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს კოლეჯის დირექტორი. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს: წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ; დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით; მიაწოდოს კოლეჯის შესაბამის სტრუქტურას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია დამტკიცებულებები; მონაწილეობა მიიღოს კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურის მიერ მოპოვებული

მტკიცებულებების გამოკვლევაში; მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯაროს ხდომაზე.

დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის სამართლებრივი აქტების დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებებს. სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს კოლეჯის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება